საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-450

ქ. თბილისი

02/06/2020

გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარედ, შპს „გარნეთის“ საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის (ჭაბურღილი) GPS კოორდინატებია: X 418271.033, Y 4667407.877. სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 770-780 მეტრზე. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 2260 მეტრით, ხოლო მდ. დიდი ლიახვის მეორე ნაპირზე მდებარე დასახლებული პუნქტი - 810 მეტრით.

ჰიდროლოგიური მონაცემებით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიულ აუზს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოცულობა შეადგენს: 100 000 $მ^3$-ს. სალიცენზიო ობიექტის სავარაუდო სიღრმეა 55 მეტრი. აღნიშნული ჰორიზონტის მტკნარი მიწისქვეშა წყლები შესწავლილია ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვის სტადიაზე. სალიცენზიო ჭაბურღილის ზუსტი დებეტი უცნობია, მაგრამ ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, მოთხოვნილი წყლის რაოდენობის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიწისქვეშა წყალი ჰიდროკარბონატული ან ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმ-ნატრიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია მერყეობს 1 გ/ლ-მდე. ჰორიზონტის წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო წყლის ტემპერატურა 10-13° C-ია.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სალიცენზიო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია. ჭაბურღილის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჭაბურღილის ექსპლუატაცია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგისა და მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებას და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი